საია აცხადებს კონკურსს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორის პოზიციაზე აჭარის და თელავის

რეგიონებში

საიას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მონიტორები იმუშავებენ საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამაში სხვა პროგრამებთან მჭიდრო კოორდინაციით.

პოზიციის დასახელება - საარჩევნო მონიტორი

სამუშაო განაკვეთი - არასრული

სამუშაო სპეციფიკა - თანამდებობა გულისხმობს დისტანციურ, საველე სამუშაოს

სამუშაო ადგილი - ბათუმი ან თელავი

ანაზღაურება - 320 დოლარის ეკვივალენტი ლარში (დარიცხული)

სამუშაო პერიოდი - 8 თვე

საარჩევნო მონიტორი ვალდებულია მტკიცედ შეინარჩუნოს პარტიული მიუკერძოებლობა მონიტორინგისას და საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ყველა აქტივობაში. ასევე დაიცვას მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

ძირითადი ფუნქციები:

ა) განახორციელოს წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგი საიას მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც უმთავრესად გულისხმობს ისეთი ფაქტების იდენტიფიცირებას რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს წინასაარჩევნო გარემოზე, ან/და უკვე იდენტიფიცირებული ფაქტების გადამოწმებას. მჭირდრო კავშირი ქონდეს სხვადასხვა დაუცველ ჯგუფებთან, დააკვირდეს და ანგარიშებში ასახოს საარჩევნო სუბიექტების მხრიდან მათთან კომუნიკაციის სტრატეგიები;

ბ) მოპოვებული ინფორმაცია ასახოს საიას საარჩევნო ანალიტიკურ ბაზაში და განაახლოს პერიოდულად;

გ) პროექტის ფარგლებში ორგანიზება გაუწიოს სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს;

მონაწილეობა მიიღოს სხვა სუბიექტების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში;

დ) მოამზადოს სხვადასხვა სახის დოკუმენტები, მათ შორის მოამზადოს ყოველკვირეული ანგარიშები პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობების შესახებ;

ე) საიას მეთოდოლოგიის შესაბამისად, აწარმოოს მედია მონიტორინგი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამართლის, სოციალური მეცნიერებების ან ჟურნალისტიკის მიმართულებით.

- ინტერესი საარჩევნო და პოლიტიკური მოვლენების მიმართ;

- სასურველია საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნა და ინტერესი;

- საოფისე და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (word, excel, power point);

- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა (წერა და მეტყველება);

- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

უნარ-ჩვევები

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

- სამუშაოს ორგანიზების უნარი;

- შემჭიდროებულ ვადებში სამუშაოს დროულად შესრულების უნარი.

- კრიტიკული ანალიზის, პრობლემების პროაქტიულად გამოვლენის და ოპერატიულად კომუნიკაციის უნარი;

წარმოსადგენი დოკუმენტები:

- რეზიუმე (CV);

- ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

- რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია.

ეტაპები

- პირველ ეტაპზე მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კანდიდატების შერჩევა;

- მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება;

საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაცია უფლებას იტოვებს დაიბაროს კანდიდატი შერჩევის დამატებით ეტაპებზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა გამოგზავნონ ელ. ფოსტის მისამართზე - vacancy@gyla.ge,

Subject ველში ჩამოთვლილთაგან მიუთითეთ ის პოზიცია, რომელზეც გსურთ დასაქმება, ,,მონიტორი - ბათუმი“, მონიტორი - თელავი.“

საბუთების არასრულად მიღების შემთხვევაში კანდიდატის აპლიკაცია არ განიხილება!

ელექტრონული განაცხადის მიღების საბოლოო ვადაა 2024 წლის 21 აპრილი 23:59.

საკონტაქტო პირი ვაკანსიასთან დაკავშირებულ შინაარსობრივ საკითხებზე: ნანუკა ყრუაშვილი, nkruashvili@gyla.ge.